

ავქსენტი ცაგარელი

ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი დაიბადა 1857 წლის 21 თებერვალს სოფელ დილოში, მღვდლის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1878 წელს დ. ერისთავის მეშვეობით პირველად მოხვდა სცენისმოყვარეთა რეპეტიციაზე. მას უმნიშვნელო როლი შესთავაზეს სპექტაკლში „ძალად ექიმი“. 1879 წელს მიიწვიეს პროფესიული თეატრის დასში. სცენაზე მან 1884 წლამდე იმუშავა. შესრულებული აქვს შემდეგი როლები: გიჟუა-„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ხინჩილა „ქორწილი ხევსურთა“, კიკოლა „პეპო“, პერენი „ძალად ექიმი“.

ავქსენტი ცაგარელი ითვლება კრეატიული რეალიზმის წარმომადგენლად. მას ეკუთვნის 30-მდე გადმოკეთებული და ორიგინალური პიესა. მისი როგორც დრამატურგისა და კომედიოგრაფის I ნამუშევარია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. რევოლუციამდელ პერიოდში ავქსენტი ცაგარელის პიესებიდან ცალკე წიგნად გამოიცა „მათიკო“, „ხანუმა“ და სხვა. მისი პიესების აღიარება განაპირობა ცოცხალმა სასაუბრო ენამ ოსტატურად დახატულმა ტიპაჟებმა და დახვეწილმა დიალოგებმა.

1882 წელს ავქსენტი ცაგარელმა ცოლად შეირთო მსახიობი ქალი ნატო გაბუნია. მატერიალური გაჭირვების გამო იძულებული გახდა მუშაობა თბილისის სადგურის უფროსის თანამშემწედ დაეწყო. 1889 წელს ციებით დაავადებულმა რკინიგზაში მუშაობას თავი დაანება და სამსახური „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში დაიწყო.

ავქსენტი ცაგარელი 1902 წლის 12 აგვისტოს გარდაიცვალა. დასაფლავებულია კუკიის სასაფლაოზე.

ავქსენტი ცაგარელის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

- 1) სათეატრო მუზეუმის დირექტორის გ. ბუხნიკაშვილის მიერ გაცემული ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს მმან-ის რესპუბლიკური არქივისადმი, ავქ. ცაგარელის დაბადების თარიღთან დაკავშირებით.
1956 წ. 10 დეკემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.
- 2) საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის მიერ გაცემული საარქივო ამონაწერი ავქსენტი ცაგარელის მეტრიკიდან.

1956 წ. 25 დეკემბერი. ნაბეჭდი. სატიტულო ფურცელი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: არქივის უფროსი ა. იოვიძე, განყოფილების უფროსი მელიქსეთ-ბეგი. 1 გვ.

პროგრამები

- 3) სახელმწიფო სომხური აკადემიური დრამის თეატრის საჩვენებელი წარმოდგენის პროგრამა „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“.
(ავტ. ცაგარელის დადგმა)
1937 წ. 17, 18 სექტემბერი. ნაბეჭდი. სტამბური. 1 ც.
- 4) აექსენტი ცაგარელის პიესის პროგრამა „ციმბირელი“.
1942 წ. 12 აპრილი. ნაბეჭდი. ხელითხასწორებული. მელანი. 2 გვ.
- 5) აექსენტი ცაგარელის პიესის პროგრამა „Нынче нетвремена“.
1889 წ. 22 დეკემბერი. პეტერბურგი. ნაბეჭდი. დასტამბული. რუსულ ენაზე. 1 ც.

მოსაწვევი ბარათები

- 6) საქართველოს მწერალთა კლუბის მიერ გაცემული აექსენტი ცაგარელის გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1952 წ. თბილისი. ნაბეჭდი. სტამბური. 1 ც.
- 7) საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, თეატრალური საზოგადოებისა და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მოსაწვევი ბარათი აექსენტი ცაგარელისადმი, ირაკლი გამრეკელის ხსოვნის საღამოზე დასასწრებად.
1968 წ. ნაბეჭდი. სტამბური. მხატვრული ბარათი. კ. გოგოძის მინაწერით. 1 ც. 2 ეგზ.

აექსენტი ცაგარელის გარდაცვალებიდან 50 წლისთავის ამსახველი მასალა

- 8) საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გაცემული აექსენტი ცაგარელის გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სესიის მოსაწვევი ბარათი.
1953 წ. ფოთი. ნაბეჭდი. სტამბური 1 ც.

- 9) ავქსენტი ცაგარელის გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს ჩანაწერი.
მომხსენებლები: შალვა დადიანი, ი. გრიშაშვილი, როდიონ ქორქია, ს. მთვარაძე, ს. გერსამია, გ. ბუხნიკაშვილი, გ. ქიქოძე, დ. ჯანელიძე, ალ. ბურთიკაშვილი, ნ. კველიშვილი.
1952 წ. ნაბეჭდი. 16 გვ.
- 10) ინფორმაცია საქართველოს თეატრალური მუზეუმის მიერ ფოტოსა და ცხაკაიაში ჩატარებული ავქსენტი ცაგარელისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიასთან დაკავშირებით.
მომხსენებლები: შალვა დადიანი, როდიონ ქორქია, ს. გერსამია, ნ. შვანგირაძე, ნ. გომიაშვილი, ფ. ჭანტურია
1953 წ. 10 ოქტომბერი. ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერს ს. გერსამია. 4 გვ.
- 11) საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ ავქ. ცაგარელისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის სტენოგრამა.
1953 წ. 10 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს სათეატრო მუზეუმის სწავლული მდივანი ს. გერსამია. 3 გვ. 2 ეგზ.
- 12) ავქსენტი ცაგარელის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს სტენოგრამა.
მომხსენებლები: შალვა დადიანი, ი. გრიშაშვილი, როდიონ ქორქია, ს. მთვარაძე, ს. გერსამია, გ. ბუხნიკაშვილი, გ. ქიქოძე, დ. ჯანელიძე, ალ. ბურთიკაშვილი, ნ. კველიშვილი.
1952 წ. 29 დეკემბერი. ნაბეჭდი. 16 გვ.
- 13) 1) ავქსენტი ცაგარელის გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სესიის სტენოგრამა.
მომხსენებლები: ა. ცომაია, შ. დადიანი, რ. ქორქია, ს. გერსამია, ნ. შვანგირაძე, ლ. ქობალავა, ვ. ჯანელიძე
1953 წ. 5 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 67 გვ.
2) ავქსენტი ცაგარელის ხსოვნისადმი მიძღვნილი სესიის სტენოგრამა.
მომხსენებლები: რ. ჭოჭუა, ლ. ქობალავა, ვ. ღვამიჩავა, გვიჩია, დემანია
1953 წ. ნაბეჭდი. 3 გვ.
3) ავქსენტი ცაგარელის ხსოვნისადმი მიძღვნილი სესიის სტენოგრამა.
1953 წ. ნაბეჭდი. 9 გვ.
მომხსენებლები: ნ. კაკაშვილი, ს. კეკელია
(აკინძული)

სხვადასხვა

- 14) საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის მადლობის წერილი სერგეი ხანატუროვისადმი, ქართული თეატრის შესახებ მასალების გადაცემასთან დაკავშირებით.
უთარილო. ხელნაწერი. მელანი. რუსულენაზე. 1 გვ.

- 15) გ. ბუნიაშვილის ნაშრომი „ავქ. ცაგარელი-ქართული დრამატურგიის კლასიკოსი“, დაბადების 105 წლისთავთან დაკავშირებით. უთარიდო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ.